



ევროპის
იმუნიზაციის
კვირეული

ახარი, ღივიანი



2010 წლის 28 აპრილს თბილისში, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში ევროპის იმუნიზაციის კვირეულისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია ჩატარდა

პრეს-კონფერენციას ესწრებოდნენ ქნი სანდრა ელისაბედ რულოვსი, საქართველოს პირველი ლედი, ბ-ნი ალექსანდრე კვიტაშვილი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, ბ-ნი პაატა იმნაძე, დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელ-ლი. ქ-ნი რუსუდან კლიმიაშვილი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელ-ლი საქართველოში, ბ-ნი რულანდ მონაში, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში.

24 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით საქართველოში, ისევე როგორც ევროპის 33 ქვეყანაში, ევროპის იმუნიზაციის კვირეული იმართება. აღნიშნული კვირეული ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ევროპის რეგიონული ბიუროს მიერ არის ორგანიზებული და ის ყოველწლიურად ტარდება. მისი მიზანია მოსახლეობისათვის იმუნიზაციის პროგრამის მნიშვნელობის შესახებ და ინფორმირება. ევროპის იმუნიზაციის კვირეული ფოკუსირებულია დაავადებებზე, რომელთა თავიდან აცილება ვაქცინაციით არის შესაძლებელი (ე.წ. ვაქცინაციით მართვადი ინფექციები).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან ერთად, გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით, კვირეულის განმავლობაში ატარებს ერთკვირიან საინფორმაციო კამპანიას კერძოდ, მიმდინარეობს სარეკლამო კამპანია იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ, იმართება პრეს-კონფერენცია, მომზადდა ფილმი იმუნიზაციის შესახებ, თბილისში განთავსდება საინფორმაციო ბილბორდი.

იმუნიზაცია კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა და ყოველწლიურად მილიონობით ბავშვს იცავს სიკვდილის, სიბრძავის, ინვალიდობის, გონებრივი ჩამორჩენილობის და ჯანმრთელობის სხვა მძიმე დარღვევებისაგან. ვაქცინაციის შედეგია ის, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ (ჯანმო) 2002 წელს ევროპის რეგიონის ქვეყნები პოლიომიელიტისაგან თავისუფალ ზონად გამოაცხადა. ევროპაში პოლიომიელიტის ლიკვიდაციისკენ მიმართულმა ღონისძიებებმა 5 მილიონამდე ადამიანი გადაარჩინა პოლიომიელიტით გამოწვეული დამბლისაგან.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად 2010 წლისათვის ევროპის რეგიონში უნდა განხორციელდეს წითელასა და წითურას ლიკვიდაცია, ასევე თანდაყოლილი წითურას სინდრომის შემთხვევათა მნიშვნელოვანი შემცირება. ამ მიზნის მისაღწევად, ევროპის რეგიონისათვის ჯანმოს მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმის შესაბამისად 2008 წელს საქართველოში ჩატარდა, წითელასა და წითურას საწინააღმდეგო იმუნიზაციის ნაციონალური კამპანია.

საქართველოში აცრები ტარდება შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროფილაქტიკური აცრების კალენდრის შესაბამისად. ბავშვთა პროფილაქტიკური აცრების კალენდრის მიხედვით, სახელმწიფო უზრუნველყოფს 10 დაავადების: ტუბერკულოზის, დიფთერიის, ყივანახველის, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, წითელას, წითურის, ყბაყურის, ბჰეპატიტის და ბ ტიპის ჰემოფილუს ინფლუენცას საწინააღმდეგო უფასო ვაქცინაციას.

მომავალ წლებში სახელმწიფოს დაგეგმილი აქვს დაიწყოს ვაქცინაცია ადამიანის როტავირუსული, პნევმოკოკური და პაპილომავირუსული ინფექციების, ასევე ჩუტყვავილას საწინააღმდეგო ვაქცინაცია

უკანასკნელ წლებში საქართველოში აღინიშნა იმუნიზაციით მოცვის საერთო გაუმჯობესება წინა წლებთან შედარებით - როგორც ტრადიციული, ასევე ახალი ვაქცინების ჩათვლით. შემოდებულია გაუმჯობესებული კომპიუტერიზებული აღრიცხვა/ანგარიშგების სისტემა, რომელიც წლამდე ასაკის კონტინგენტის "დროული" იმუნიზაციის შეფასების საშუალებას იძლევა. ასევე სრულყოფილად და რეგულარულად ხდება მონაცემების შეტყობინება. გაუმჯობესებულია ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა, შექმნილია თვალსაჩინო და თანამედროვე ეროვნული სახელმძღვანელოები, პრიორიტეტული დაავადებებისათვის შემთხვევაზე გათვლილი ანგარიშგება და მონაცემთა კომპიუტერული მართვა. ვაქცინებითა და იმუნიზაციისათვის აუცილებელი სხვა აღჭურვილობით მომარაგების სისტემა გამართულად მუშაობს.

მიუხედავად იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესებისა, ქვეყანაში კვლავ რჩება ვაქცინაციასთან დაკავშირებული პრობლემები: არაღამაკმაყოფილებელია იმუნიზაციით ბავშვთა დროული მოცვის მაჩვენებლები. მნიშვნელოვანია იმუნიზაციის პროგრამის წინაშე არსებული საკომუნიკაციო პრობლემები: ინფორმაციის დაბალი დონე მშობლებში, მასმედიით გავრცელებული არასწორი ინფორმაცია, ზოგიერთი "პოპულარული ექიმის" უარყოფითი დამოკიდებულება აცრებთან დაკავშირებით, რაც ხშირად ზიანს აყენებს როგორც პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების პერსონალის ავტორიტეტს, ასევე ზოგადად იმუნიზაციის პროგრამას; ასევე ჩნდება კითხვები ზოგიერთ ქვეყანაში წარმოებული ვაქცინების ხარისხის შესახებ - ხშირად დაინტერესებული წრეების მხრიდან.

საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შემოდის და გამოყენებაშია მხოლოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული და, შესაბამისად, უმაღლესი ხარისხის ვაქცინები.

თანამედროვე ვაქცინები უსაფრთხო და ეფექტურია, თუმცა ნებისმიერ ვაქცინაციას შეიძლება მოყვეს გვერდითი რეაქციები, აცრის შემდგომი გართულებების რისკი კი უკიდურესად მცირეა და ორგანიზმის ინდივიდუალურ თვისებებზეა დამოკიდებული.

იმუნიზაციის შემდეგ განვითარებული არასასურველი მოვლენების რისკი იმდენად უმნიშვნელოა თვით დაავადებისაგან გამომდინარე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების რისკთან, რომ ვაქცინაციის აუცილებლობა და ეფექტურობა უდავოა.

ვაქცინები სახემწიფო პროგრამის ფარგლებში ყველასათვის უფასოა. აცრები ტარდება პოლიკლინიკებსა და ამბულატორიებში.

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ:

*სოფიო გვალიას, საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პრეს-ცენტრის
ხელ-ღს 877 41 83 31, sgvalia@moh.gov.ge*

*დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის იმუნოპროფილაქტიკის
კანყოფილებას ტელ 39 31 70 დამატებითი 155, ljbidze@ncdc.ge*

*maia qurcikiZe, komunikaciis programis xelmZRvaneli, gaeros bavSvTa fondi
tel.: (+995 32) 23 23 88, 25 11 30, faqsi: (+995 32) 25 12 36
el-fosta: mkurtsikidze@unicef.org, mob: (+995 99) 53 30 71
www.unicef.org/georgia*